

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი



ივანე ჯავახიშვილი - მაგალითი აკადემიური
საზოგადოებისთვის

თბილისი

2016

შინაარსი

- წინასიტყვაობა
- თბილისის უნივერსიტეტის სათავეებთან
- უნივერსიტეტის მართვა და განვითარება
- დავიწყების წლები
- 1989 წელი
- მოკლე ბიოგრაფიული ცნობები

შემდგენლები:

პროფესორი რამაზ ბოჭორიშვილი
ასოცირებული პროფესორი თამარ ჭელიძე

რედაქტორი:

ასოცირებული პროფესორი გურამ ქუთელია

წინასიტყვაობა

2016 წლის 23 აპრილს ივანე ჯავახიშვილის დაბადებიდან 140 წელი სრულდება. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით მეოთხე საფაკულტეტო კონფერენცია ამ თარიღს ეძღვნება. ბატონი ივანე არა მარტო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი, არამედ სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის დეკანიც იყო და იმ დროს სწორედ ამ ფაკულტეტის ნაწილს წარმოადგენდა მათემატიკა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები. ივანე ჯავახიშვილის კარგად გააზრებული ხედვა უნივერსიტეტის მოწყობის შესახებ იმაშიც გამოიხატა, რომ ეს დარგები უნივერსიტეტში დაარსების დღიდან არის წარმოდგენილი და მათ გასული 98 წლის განმავლობაში განვითარების შესაძლებლობა მიეცა. ივანე ჯავახიშვილს საქმისადმი განსხვავებული მიდგომა რომ ჰქონოდა, ძნელი სათქმელია, თუ როგორ მოხდებოდა საქართველოში მეცნიერების განვითარება.

ივანე ჯავახიშვილის და მისი წვლილის შესახებ ბევრია დანერგილი. წინამდებარე ნარკვევი ეძღვნება ბატონე ივანეს დაბადებიდან 140 წლის იუბილეს და მიზნად ისახავს მისი წვლილის კიდევ ერთი განსხვავებული ასპექტით წარმოდგენას.

ნარკვევი ძირითადად შედგენილია „საისტორიო მოამბეში“, 1967 წელი #21-22, გამოქვეყნებული საარქივო მასალების საფუძველზე, რომელთა შესახებ ინფორმაცია დიდი ივანე ჯავახიშვილის შთამომავალმა, ბატონმა თარხუჯ ჯავახიშვილმა მოგვანოდა, რისთვისაც მას მადლობას უხდიან შემდგენლები.

თბილისის უნივერსიტეტის სათავეებთან

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი თავისი მიღწევებით დღემდე ყველაზე წარმატებულ უნივერსიტეტად რჩება საქართველოში.

მსოფლიო უნივერსიტეტების რანჟირების სისტემების მიხედვით თსუ კავკასიის რეგიონში დღესაც ლიდერია. 2015 წლის მარტის მონაცემებით თსუ, აკადემიური აქტივობით, უნივერსიტეტების რანჟირების (University Ranking by Academic Performance (URAP) რეიტინგებში მსოფლიო 1000 საუკეთესო უნივერსიტეტს შორის მოხვდა და 985-ე ადგილი დაიკავა. ცალ-ცალკე კვლევით მიმართულებებში თსუ კიდევ უფრო შთამბეჭდავ შედეგებს აჩვენებს. ფიზიკური მეცნიერებების მიმართულებით იგი 175-ე, ხოლო მათემატიკურ მეცნიერებებში 387-ე ადგილზეა. ამავე მონაცემების თანახმად, მსოფლიოს 23887 უნივერსიტეტს შორის თსუ საუკეთესო 5%-ში, ხოლო ევროპის 4000 უნივერსიტეტს შორის საუკეთესო 10%-შია. 2015 წლის სექტემბრის მონაცემებით უნივერსიტეტების უკვე სხვა რანჟირების სისტემაში (www.webometrics.info) იგი მსოფლიოს 24 ათასამდე უნივერსიტეტს შორის 830-ე, ხოლო ევროპის უნივერსიტეტებს შორის 349-ე ადგილზეა. თსუ მოხვდა ტომსონ როიტერის საერთაშორისო სისტემაში. კერძოდ, მიმართულების მიხედვით რანჟირებაში ფიზიკური მეცნიერებების მიმართულებით თსუ 187-ე ადგილზეა მსოფლიოს 248 უნივერსიტეტს შორის.



თსუ აკადემიური აქტივობით უნივერსიტეტების რანჟინგების (University Ranking by Academic Performance (URAP)) რეიტინგებში მსოფლიო 1000 საუკეთესო უნივერსიტეტს შორის მოხვდა და 985-ე ადგილი დაიკავა.

www.webometrics.info/en/Europe/Georgia%20

RANKING WEB OF UNIVERSITIES

Home Methodology Helpdesk Download Search

HOME AMERICA LATIN AMERICA EUROPE ASIA AFRICA ASIAN WORLD OC/OCEANIA RANKING BY AREAS WHY US?

Home » Europe » Georgia

Georgia

Ranking	World Rank	University	Det.	Thematic Rank	Impact Rank	Research Rank	Excellence Rank
1	830	Ivane Javakhishvili Tbilisi State University	+	861	1190	1340	1029
2	709	Georgian Technical University	+	2942	2191	1212	1021
3	5505	Iberia Polytechnical University	+	10091	2725	12079	5495
4	7240	Shabshabashvili State University	+	4394	10540	9195	4668
5	7983	Georgian Technical University	+	14813	11707	1274	3984
6	8831	Ivane Javakhishvili Tbilisi State University	+	839	8495	9495	14028
7	10542	Georgian Technical University	+	8331	10029	11464	5495
8	10762	Ivane Javakhishvili Tbilisi State University	+	10097	11084	8937	5495
9	10649	Ivane Javakhishvili Tbilisi State University	+	79084	10894	8940	5495
10	10891	Ivane Javakhishvili Tbilisi State University	+	9195	10476	10779	5495

www.webometrics.info/en/Europe?page=3

Ranking	World Rank	University	Det.	Country	Thematic Rank	Impact Rank	Research Rank	Excellence Rank
349	830	Ivane Javakhishvili Tbilisi State University	+	GE	861	1190	1340	1029
350	835	University of Pavia / Fondazione Rodolfo De Benedetti	+	IT	1289	825	718	1385
351	836	University of Bamberg	+	DE	1379	1209	995	1022
352	842	Osaka University	+	JP	850	1274	981	1033
353	843	University degli Studi di Messina	+	IT	1530	2279	721	811
354	847	University of Turin / Politecnico di Torino / Ospedale Maggiore Poma	+	IT	478	1643	485	1037
355	849	University Federico II of Naples	+	IT	1613	2257	1162	560
356	850	De Montfort University	+	GB	438	1102	1008	1233
357	860	Aston University	+	GB	2817	1499	1658	760
358	861	University of Caen Normandy	+	FR	2449	1031	871	1189
359	866	Bournemouth University	+	GB	1978	989	1452	1172
360	869	University of West Bohemia - University of Applied Sciences / University of Applied Sciences	+	CZ	496	987	231	1157
361	873	Technische Universität Braunschweig	+	DE	1206	1268	996	1065
362	877	Institute of Education University of London	+	GB	1090	1590	783	950
363	880	University of Pisa / Pisa University	+	IT	1124	1463	463	1117

2015 წელს თსუ-მ მსოფლიოს 24 ათასამდე უნივერსიტეტს შორის 2006-დან 830-ე ადგილზე, ევროპის უნივერსიტეტებს შორის 714-დან 349-ე ადგილზე გადაინაცვლა

უნივერსიტეტის დღევანდელი წარმატება, მათ შორის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, გარკვეულწილად ივანე ჯავახიშვილის საუნივერსიტეტო მოწყობის ხედვასთან არის დაკავშირებული. მას რომ განსხვავებული ხედვა ჰქონოდა, იმდროინდელი მათემატიკა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები უნივერსიტეტში დაარსების დღიდან წარმოდგენილი არ იქნებოდა, რაც არც თუ რთული დასასაბუთებელი იქნებოდა მაშინდელი მძიმე ეკონომიკური სიტუაციის გათვალისწინებით. ელემენტარული ჭეშმარიტებაა, რომ რომელიმე დარგში წარმატების მიღწევას ჭირდება კარგი საფუძველი, სწორი მიმართულებით მუდმივი განვითარება და დრო. დღეს მათემატიკა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები უნივერსიტეტში განვითარების 98 წელს ითვლის; ასევე საყოველთაოდ არის აღიარებული, რომ უნივერსიტეტისთვის საფუძვლის ჩაყრაში და იმავდროულად მისი შემდგომი განვითარების მიმართულების განსზღვრაში ივანე ჯავახიშვილს განსაკუთრებული წვლილი აქვს შეტანილი.

ივანე ჯავახიშვილმა პირველი კლასიკური გიმნაზია დაამთავრა. საინტერესოა სასწავლებლის ინსპექტორის მიერ გაცემული დახასიათება, სადაც იგი ივანე ჯავახიშვილს ახასიათებს, როგორც „политически благонадежен“. თუმცა იმ დროინდელი რუსეთის იმპერიის ჩინოვნიკისთვის „პოლიტიკურად სანდო“ ადამიანმა საფუძველი ჩაუყარა ორგანიზაციას, რომელმაც განსაკუთრებული როლი ითამაშა საქართველოს რუსული და შემდეგ საბჭოთა გავლენისგან განთავისუფლებაში და მისი ევროპული მომავლის განსაზღვრაში.



იმდროინდელი ქართული საზოგადოება უნივერსიტეტის დაარსებას ხედავდა როგორც ქვეყნის აღორძინების ახალი ხანის დასაწყისს, რის მაგალითადაც შეგვიძლია მოვიყვანოთ ყარამან კიკნაველიძის 1917 წლის 8 ოქტომბრის წერილი ივანე ჯავახიშვილისადმი ქართული უნივერსიტეტის დასაარსებელი თანხის გასაძლიერებლად ათასი მანეთის შეწირვის შესახებ: *“მეცნიერს ივანე ჯავახიშვილს. ღრმად პატივცემულო ბატონო ივანე! ქართულ უნივერსიტეტის დაარსების აზრმა უზომოდ გამახარა, ვინაიდან ვვრძნობ, რომ ამ აზრის განხორციელებით ჩვენს ქვეყანას აღორძინების ახალი ხანა უღვება”*.

ივანე ჯავახიშვილის ხელვამ აკადემიური სფეროს მოწყობისა და მართვის შესახებ, რომელიც ერთი მხრივ დაფუძნებული იყო დასავლური უნივერსიტეტების გამოცდილებაზე, ხოლო მეორე მხრივ, საქართველოს მოთხოვნებსა და შესაძლებლობებზე, შექმნა

ორგანიზაცია, რომლის აზრისადმი საზოგადოებას ყოველთვის ჰქონდა ნდობა.

საარქივო მასალები ნათლად გვიჩვენებს ივანე ჯავახიშვილის განმსაზღვრელ როლს მეცნიერების სხვადასხვა დარგის განვითარებასა და თბილისის უნივერსიტეტის როგორც დასავლური ტიპის, მეცნიერულ-ტექნოლოგიურ პროგრესზე ორიენტირებული უნივერსიტეტის ჩამოყალიბებაში.

მნიშვნელოვანია 1917 წლის „ქართული უნივერსიტეტის წესდების ძირითადი დებულებანი“ შედგენილი ივანე ჯავახიშვილის მიერ. ამ დებულების მე-5 პუნქტში ვკითხულობთ „თბილისის უნივერსიტეტი **სრული უნივერსიტეტი** უნდა იყოს და შემდეგ ფაკულტეტებს შეიცავდეს: 1. სიბრძნისმეტყველების ანუ ფილოსოფიურს ფაკულტეტს, რომელშიაც, საფილოსოფიო, საფილოლოგიო, საისტორიო და საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგები შედის როგორც დასავლეთის ისე აღმოსავლეთისა და სამხრეთ-ჩრდილოეთ ქვეყნებისა და ერების შესახებ, 2. სამათემატიკოსაბუნებისმეტყველო ფაკულტეტს, 3. სამართლის მეცნიერების ფაკულტეტს და 4. სამკურნალო ფაკულტეტს“.



კავკასიაში პირველი ეროვნული უნივერსიტეტი 1918 წლის 26 იანვარს, ახალი სტილით, 8 თებერვალს, დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს გაიხსნა. უნივერსიტეტის პირველ რექტორად, ივანე ჯავახიშვილის წინადადებით, პროფესორთა საბჭომ პეტრე მელიქიშვილი აირჩია, თავად ივანე ჯავახიშვილი სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტს ჩაუდგა სათავეში, რომელიც აერთიანებდა ჰუმანიტარულ დარგებს, ბუნებისმეტყველებასა და მათემატიკას.


უნივერსიტეტის მართვა და განვითარება



უნივერსიტეტის დამაარსებლების და უპირველეს ყოვლისა, ივანე ჯავახიშვილის უდიდესმა ძალისხმევამ, რომელიც ეფუძნებო-

და სიტუაციის დეტალურად შესწავლას და რესურსების რაციონალურ განაწილებას, იმ უკიდურესი გაჭირვების, პოლიტიკური და ეკონომიური არასტაბილურობის პირობებში შესაძლებელი გახდა სრულფასოვანი უნივერსიტეტის შექმნა თავისი სასწავლო და კვლევითი ინფრასტრუქტურით.

1918 წელს 19 ივნისს ივანე ჯავახიშვილის ავტორობით გამოცემული „თბილისის უნივერსიტეტის დებულებანი“-ით, იწყება 1917 წელს დეკლარირებული პრინციპების განხორციელება და სასწავლო და სამეცნიერო სტრუქტურების ფორმირება. ამის ერთ-ერთი ნიშანია სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე არსებული რესურსის საფუძველზე სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის შექმნა 1918 წელს.




1920 წელს „ივანე ჯავახიშვილის მიერ შედგენილი მიმოხილვიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 1918-1920 წ.წ. მოღვაწეობის შესახებ“ დეტალურად არის განხილული ამ წლებში უნივერსიტეტის სტრუქტურა და საქმიანობა. უნივერსიტეტი ამ დროს უკვე 3 ფაკულტეტს შეიცავდა სიბრძნისმეტყველების, სამათემატიკო-

საბუნებისმეტყველოსა (რომელსაც დაემატა სასოფლო-სამეურნეო განყოფილება) და სამკურნალოს. სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე 960 სტუდენტი და 5 თავისუფალი მსმენელი ყოფილა. ამ ფაკულტეტზე ამ დროს უკვე ფუნქციონირებდა და ანგარიშში შეტანილია ქიმიის კათედრა ორგანული, რაოდენობითი და აგრონომიული ქიმიის ლაბორატო-რიუმებით, ფიზიკის კათედრა და ლაბორატორიუმი, კრისტალოგრაფიის და მინერალოგიის კათედრა და კაბინეტი, ბოტანიკის კათედრა და კაბინეტი, ზოოლოგიისა და ენტიმოლოგიის კათედრა და კაბინეტი, ცხოველთა ფიზიოლოგიის კათედრა და ლაბორატორიუმი და სხვ.

საარქივო მასალებში კარგად ჩანს ის პრინციპები, რომლითაც ივანე ჯავახიშვილი ხელმძღვანელობდა უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მართვისას – ეს იყო ქვეყნის ეკონომიურ სოციალური მდგომარეობის გათვალისწინებით უნივერსიტეტის მუდმივად მზარდი რეჟიმის შენარჩუნება. იგი მთელი ქვეყნის მასშტაბით ცდილობდა უნივერსიტეტისათვის რესურსების მობილიზაციას. მომხრე იყო სტრუქტურების ოპტიმიზაციისა და თანხების ეკონომიური ხარჯვისა. ამ თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესი მომენტი იყო თბილისის უნივერსიტეტის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტად გარდაქმნა 1918 წელს. იმ კრიზისული პერიოდისთვის უნივერსიტეტის ფუნქციონირება მხოლოდ შემოწირულობების და სწავლის გადასახადის ხარჯზე ძალიან ძნელი იყო. „რაკი ამჟამად საქართველო დამოუკიდებელ დემოკრატიულ რესპუბლიკად გამოცხადდა და შეიქმნა, უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ დაადგინა, რომ ეს დებულებანი საქართველოს მთავრობას წარედგინოს დასამტკიცებლად, ამასთანავე უნივერსიტეტის საბჭო ფიქრობს, რომ თუ აქამდის ქართული უნივერსიტეტი კერძო უმაღლესი სასწავლებელი იყო, ეხლა როდესაც საქართველო დამოუკიდებელ

რესპუბლიკად იქცა, თავისთავად იბადება აზრი, რომ იგიც შეიძლება ტფილისის მთავრობის უნივერსიტეტად იქცეს, რომ ეს სახელი უპირველეს ყოვლისა საქართველოში მას უნდა ეკუთვნოდეს“. იმ დროინდელმა დამოუკიდებელმა ქართულმა სახელმწიფომ აღიარა უნივერსიტეტის მნიშვნელობა და საჭიროება, მიანიჭა მას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტატუსი და ამ ახალი სტატუსის შესაბამისად თავისი მწირი ბიუჯეტიდან გამოყო თანხა, რამაც უნივერსიტეტს მისთვის დაკისრებული მოვალეობის შესრულების და შემდგომი განვითარების შესაძლებლობა მისცა.



უნივერსიტეტის პროფესორ მასწავლებლები –პირველ რიგში: მიხეილ კონიაშვილი, გრიგოლ ნათაძე, ივანე ჯავახიშვილი, მიხეილ ზანდუკელი, ალექსანდრე დიდებულიძე, მიხეილ თაქთაქიშვილი; მეორე რიგში: ანდრია ბენაშვილი, ნიკო ჩიგოგიძე; მესამე რიგში: ნიკო მგელაძე, სერგო გორგაძე, იასონ მოსეშვილი, ვასილ კაკაბაძე, სოლომონ ქურდიანი, გიორგი ახვლედიანი, გიორგი კონიაშვილი, კორნელი კეკელიძე, ვეგენი ჭოლოშვილი.

1919 წლის 2 მაისით თარიღდება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 1919 წლის საგარაუდო ხატთაღრიცხვის განმარტებითი

მოხსენება შედგენილი ივანე ჯავახიშვილის მიერ. ამ დოკუმენტში კარგად ჩანს ივანე ჯავახიშვილის დამოკიდებულება საქმისადმი – ღრმა, გულისხმიერი, რაციონალური, მიკერძობისგან და ფსევდო-ღირებულებებისგან თავისუფალი. უნივერსიტეტის არსებულ და მომავალ პერსონალზე ზრუნვით გამსჭვალული. შემდეგი ორი ამონარიდი სწორედ მისი ასეთი დამოკიდებულების ნიმუშია: „...რადგან უნივერსიტეტის პროფესორებს და ლექტორ-ასისტენტებს იმგვარადვე საზოგადოდ ყველა დანარჩენ უნივერსიტეტის მსახურთ აქამდის მკირე სარგო ეძლეოდათ, ცხოვრება კი ზღაპრულად გაძვირდა, ამიტომ სარგოს რაოდენობის 100%-ით გადიდება აუცილებელი შეიქმნა“; „უნივერსიტეტის გამგეობა და პროფესორთა საბჭო განსაკუთრებულ ყურადღებას ახლგაზრდა მეცნიერთა საპროფესოროდ მომზადებას აქცევდა. უამისოდ უნივერსიტეტის შეუჩერებელი ზრდა და დანინაურება შეუძლებელია. ამიტომ 15 დატოვებულისთვის 240 000 მან. თანხა არის ნავარაუდები. ჩვენი ფულის საშინლად დაცემის გამო ამ რაოდენობითგან მარტო ათ საზღვარგარეთ დატოვებულისთვის 192 000 მან იქნება საჭირო. უნივერსიტეტის გამგეობამ მწუხარებით უნდა აღნიშნოს, რომ საფრანგეთისა და ინგლისის მიერ შემოღებული ბლოკადისა და შექმნილი პოლიტიკურ ეკონომიური პირობების გამო ჯერჯერობით დატოვებულების საზღვარგარეთ გაგზავნა ვერა ხერხდება“

ივანე ჯავახიშვილი თვითონ ადგენდა ყველა მნიშვნელოვან დებულებას. მაგალითისთვის მისი შედგენილია 1919 წლის ფიზიკური ობსერვატორიის დროებითი დებულება. ივანე ჯავახიშვილი თვითონ დადიოდა ლაბორატორიების დასათვალისწინებლად და იქ არსებული პირობების გასარკვევად. ჩართული იყო „სამათემატიკო“ ტერმინოლოგიის ფორმირების საქმეშიც და ყველგან მისთვის

დამახასიათებელი პასუხისმგებლობით უდგებოდა საქმეს. ამის მაგალითია 1924 წელს საქართველოს სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის ივანე ჯავახიშვილის მოხსენებითი ბარათი საქართველოს სახალხო განათლების კომისარისადმი სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს მიერ შემუშავებულ სამათემატიკო ტერმინოლოგიის დამტკიცების შესახებ.

1920 წლის 27 ნოემბერს ივანე ჯავახიშვილმა განათლების მინისტრს წარუდგინა მის მიერ შედგენილი „მოხსენება ტექნიკური უმაღლესი განათლების მოწყობის შესახებ საქართველოში“. დოკუმენტში უაღრესად საინტერესო მოსაზრებაა მოცემული საქართველოში ტექნიკური დარგების და მეცნიერების განვითარების შესახებ: *„ჩვენ მეურნეობა წარმოების მხრივ მეტად ჩამორჩენილები ვართ. ასეთს პირობებში მხოლოდ მეცნიერული კვლევა-ძიების საშუალებით სამოქმედო გზის გაკაფვა დაგვიხსნის ჩვენ უმწეო მდგომარეობიდან. უბრალო მიმბაძველობა და ტექნიკის ხელოსნური შესწავლა ვერას გვიშველის ...“* – ჭეშმარიტად შორსმჭვრეტელი ერისკაცის სიტყვებია!



დავინყების წლები

1921 წელს საქართველომ დამოუკიდებლობა დაკარგა, თუმცა ივანე ჯავახიშვილი კიდევ დაახლოებით 5 წელი ემსახურებოდა უნივერსიტეტს რექტორის რანგში. საბჭოთა ხელისუფლების მხრიდან დაიწყო ივანე ჯავახიშვილის წინააღმდეგ ცილისმწამლებლუ-რი კამპანია, რასაც 1926 წლის 23 ივნისს მისი რექტორობიდან გათავისუფლება მოჰყვა; 1931 წლის 28 მაისის განათლების სა-ხალხო კომისარიატის დადგენილების საფუძველზე ივანე ჯავახიშვილი გააძევეს იმ დროისთვის უკვე პედაგოგიურ ინსტიტუტად გარდაქმნილ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან.

1933 წლის 8 იანვარს აღდგენილ იქნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 17 თებერვალს კი ივანე ჯავახიშვილი თსუ-ის საქართველოს ძველი ისტორიის კათედრის გამგედ დაინიშნა, სადაც იგი 1935 წლამდე მუშაობდა. სამწუხაროდ, ივანე ჯავახიშვილის მიმართ ბინძური კამპანია არ შემწყდარა. 1936 წლის 10 აპრილს ივანე ჯავახიშვილმა წერილით მიმართა განათლების სახალხო კომისარიატს და ამჯერად უკვე სამუდამოდ დატოვა უნივერსიტეტი.

უნივერსიტეტმა პერიპეტიებით სავსე მრავალი პერიოდი გაიარა. განსაკუთრებით მძიმე იყო მე-20 საუკუნის 30-იანი წლები. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წლის 7 ივლისის დადგენილების საფუძველზე ჩატარდა თსუ-ის რეორგანიზაცია და მის ბაზაზე 4 სპეციალური სასწავლო ინსტიტუტი შეიქმნა, რასაც ივანე ჯავახიშვილი, ცხადია, ვერ დაეთანხმებოდა. საბედნიეროდ 1933 წლის 8 იანვარს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აღდგენილ იქნა.

1989 წელი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ყოველთვის იყო საზოგადოების დიდი პატივისცემის და ინტერესის ობიექტი. აქედან გამომდინარე, იგი იყო ხელისუფლების ყურადღების ცენტრშიც და ხელისუფლებაში ფასეულობების ცვლილებასთან ერთად იცვლიდა პირველობის დამადასტურებელ სახელებს – ჯერ იყო სტალინის სახელობის, ხოლო შემდეგ შრომის წითელი დროშის ორდენოსანი გახდა.

მეოცე საუკუნის ოთხმოციანი წლების ბოლოს საქართველოში ეროვნული ეროვნული სულისკვეთების გაძლიერებასთან ერთად უნივერსიტეტმა კიდევ ერთხელ შეიცვალა სახელი და 1989 წელს უნივერსიტეტს მისი დამფუძნებლის – ივანე ჯავახიშვილის სახელი მიენიჭა.

- მეოცე საუკუნის 90-იან წლებში უნივერსიტეტში დაწესდა ივანე ჯავახიშვილის მედალი. ჭილდო ენიჭება საქართველოს ან უცხო ქვეყნის მოქალაქეს უნივერსიტეტის წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის, უნივერსიტეტში ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური ან/და ორგანიზაციული მოღვაწეობისათვის, დარგის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის.
- უნივერსიტეტის პერსონალი ყოველი წლის 23 აპრილს აღნიშნავს მისი დამაარსებლის იუბილეს. ამ დღესთან დაკავშირებით იმართება სხვადასხვა ღონისძიებები და ყვავილებით იმკობა ივანე ჯავახიშვილის საფლავი.
- 2013 წლის 18 ნოემბერს ივანე ჯავახიშვილის გარდაცვალების დღეს, უნივერსიტეტმა ივანე ჯავახიშვილის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო პრემია დააარსა. პრემია ენიჭება უცხოელ

მეცნიერს ქართველოლოგიის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის.

- 2013 წლიდან იმართება ივანე ჯავახიშვილის სახელობის ფორუმი. უნივერსიტეტის თითოეული ფაკულტეტის პროფილის შესაბამისად ტარდება კონკურსი. გამარჯვებულად ცხადდება ერთი მეცნიერი, ბაკალავრიატის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის ერთი სტუდენტი. გამარჯვებული იღებს ფულად ჯილდოს.
- უნივერსიტეტის ისტორიული პირველი კორპუსის ყველაზე ლამაზი აუდიტორია ივანე ჯავახიშვილის სახელს ატარებს. ამ აუდიტორიაში იმართება მნიშვნელოვანი შეხვედრები, საერთაშორისო და ადგილობრივი ღონისძიებები.



- უნივერსიტეტის მუზეუმში არის მუდმივმოქმედი გამოფენა, რომელიც ივანე ჯავახიშვილს ეძღვნება.
- ივანე ჯავახიშვილის სახელს ატარებს თბილისის ქუჩა, სადაც ის ცხოვრობდა.
- ივანე ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმი განთავსებულია კასპის მუნიციპალიტეტში სოფელ ხოვლეში, სადაც მან ბავშვობა

გაატარა. უნივერსიტეტი მუდმივ ყურადღებას და მზრუნველობას იჩენს ამ მუზეუმის მიმართ.



მოკლე ბიოგრაფიული ცნობები

- დაიბადა 1876 წელს 11(23) აპრილს თბილისში.
- 1885 წელს სწავლა დაიწყო თბილისში, პროვიმნაზიაში.
- 1888 წელს სწავლა გააგრძელა თბილისის კლასიკურ გიმნაზიაში.

- 1895-1899 წლებში სწავლობდა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის სომხურ-ქართულ-ირანულ განყოფილებაზე.
- 1899-1901 წლებში იყო პეტერბურგის უნივერსიტეტის უნივერსიტეტის მაგისტრანტი.
- 1901-1902 წლებში მიწვეულ იქნა ბერლინის უნივერსიტეტში.
- 1902-1917 წლებში იყო პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლური ფაკულტეტის ქართული და სომხური ფილოლოგიის კათედრის პრივატ-დოცენტი.
- 1918 წელს მისი თაოსნობით და ქართველ მეცნიერთა ჯგუფის ინიციატივით დაარსდა თბილისის უნივერსიტეტი.
- 1918-1919 იყო უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის დეკანი
- 1919-1926 წლებში იყო უნივერსიტეტის რექტორი.
- 1931 წელს გააძევეს უნივერსიტეტიდან.
- 1933 -1935 წლებში მუშაობდა უნივერსიტეტში კათედრის გამგედ.
- 1936 წელს სამუდამოდ დატოვა უნივერსიტეტი, როგორც თანამშრომელმა.
- 1936-1940 წლებში მუშაობდა კავკასიისმცოდნეობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში.
- 1939 წელს აირჩიეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად.
- გარდაიცვალა 1940 წლის 18 ნოემბერს ლექციის კითხვის დროს გულის უეცარი შეტევის შედეგად; დაკრძალეს 21 ნოემბერს უნივერსიტეტის ეზოში.

